მომსახურების ხელშეკრულება

(რეგიონალური ჰაბის წევრობასა და დაკავშირებული მომსახურების გაწევის შესახებ)

ქ. თბილისი 05 მარტი 2024 წელი

ერთი მხრივ, **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი"** (იურიდიული მისამართი: 26 მაისის მოედანი 2, მე–5 სართული, თბილისი 0171, საქართველო, საიდენტიფიკაციო კოდი: 211361694) (შემდგომში „**დამკვეთი**") წარმოდგენილი მისი დირექტორის **ვაჟა სალამაძის** სახით,

და

მეორე მხრივ, **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი** (იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ნიაღვრის ქუჩა, N 4, ბინა 18), საიდენტიფიკაციო კოდი: 204569617)(შემდგომში: „**შემსრულებელი**" ან „**ჰაბი**"), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის, **გიორგი კლდიაშვილის** სახით,

ევროკავშირის (EU) მიერ დაფინანსებული პროექტის – „CSO meter: Empowered for action სსო მეტრი: ქმედება უკეთესი გარემოსთვის (NDICI-GEO-NEAR-2023/449-347)" (შემდგომში: პროექტი) - ფარგლებში, ვდებთ წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულებას:

1 ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია **შემსრულებლის** მიერ, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, **დამკვეთისთვის** მომსახურების გაწევა, რაც მოიცავს პროექტის ფარგლებში დაფუძნებული რეგიონალური ჰაბის წევრობასა და დაკავშირებული მომსახურების გაწევას **დამკვეთის** მითითებისა და პროექტის მიზნების შესაბამისად.

1.2 **რეგიონალური ჰაბის** წევრობა მოიცავს შემდეგ ვალდებულებებს:

- ჰაბი ორგანიზაციის ფარგლებში ექსპერტის/ექსპერტების გამოყოფას, რომელიც/რომლებიც იმუშავებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებზე და პასუხისმგებელი/პასუხისმგებლები იქნებიან პროექტთან დაკავშირებულ თემაზე დამკვეთთან და დონორთან კომუნიკაციაზე;
- მონაწილეობის მიღებას სსო მეტრის ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში, შესაძლებლობების გაძლიერებისა და ნეთვორქული მიზნებისათვის;
- მონაწილეობის მიღებას ყოველწლიური ადვოკატირების გეგმის შემუშავებაში, პრიორიტეტებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრის პროცესში;
- მონაწილეობის მიღებას ქვეყნის დონეზე მონიტორინგის, ანგარიშებისა და სხვა ანალიტიკური დოკუმენტების შექმნაში;
- მონაწილეობის მიღებას სსო მეტრის მრჩეველთა საბჭოს სამუშაო პროცესში;
- საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში პროექტთან დაკავშირებულ საკითხებზე დისკუსიაში ჩართვასა და კონსულტირებას;
- სსო მეტრისთვის რელევანტური მიმართულებების მიხედვით წინასწარი საფრთხეების (Early warnings) გამოვლენასა და მათზე დამკვეთისა და ჰაბის სხვა წევრებისათვის ინფორმაციის მიწოდებას;
- პროექტის ფარგლებში მომზადებული ანგარიშების გავრცელებას;
- ადვოკატირების აქტივობებში ჩართვას ჰაბის დანარჩენ წევრებთან შეთანხმების შემთხვევაში.

დამკვეთი: _____ შემსრულებელი: _____

1.3 წინამდებარე ხელშეკრულების 1.2 მუხლში გაწერილი ვალდებულებები შეიძლება დაკონკრეტდეს, დაზუსტდეს და დეტალურად განისაზღვროს პროექტისა და ხელშეკრულების მიმდინარეობის დროს გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად. მხარეთა მიერ ნებისმიერ ეტაპზე მიღწეული შეთანხმება ვალდებულებების შინაარსის ცვლილებისა თუ დაზუსტების შესახებ გახდება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და შეიძენს შესასრულებლად სავალდებულო ძალას

1.4 შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს ხელშეკრულების ხელმოწერის დღის ჩათლით, ან დამკვეთის მიერ მოთხოვნილი ყოველ კონკრეტულ პერიოდში (დღეს) მიაწოდოს დღგ-ს გადამხდელობის სტატუსის შესახებ ცნობა

2 სამუშაოს მიღებისა და შესრულების წესი

2.1 მხარეთა შორის მომსახურების გაწევა-მიღებისა და წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების პროცესი მიმდინარეობს კეთილსინდისიერების, ნდობის, პატივისცემის, ურთიერთთანამშრომლობის, გულისხმიერებისა და ურთიერთმხარდაჭერის პრინციპებზე დაყრდნობით.

2.2 **დამკვეთი** ვალდებულია პასუხი აგოს დონორთან კომუნიკაციასა და ანგარიშგებაზე და მიაწოდოს დონორს ყველა საჭირო ინფორმაცია პროექტისა და წინამდებარე მომსახურების მიმდინარეობასთან დაკავშირებით. **შემსრულებელი** ვალდებულია **დამკვეთს** მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია, რომელიც ამ უკანასკნელის მიერ იქნება მოთხოვნილი ზემოხსენებული ვალდებულების ჯეროვნად შესასრულებლად **შემსრულებელი** ვალდებულია შეასრულოს დონორის მხრიდან მიღებული დავალება, ვალდებულება და მითითება დონორის მიერ განსაზღვრულ ვადაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2.3 **შემსრულებელი** ვალდებულია **დამკვეთს** გაუწიოს შეთანხმებული ხარისხის, პროფესიონალურად შესრულებული მომსახურება შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადებში. **შემსრულებელი** ვალდებულია საკუთარი მოვალეობების შესრულებისას გაითვალისწინოს **დამკვეთის** მითითებები და პროექტის მიზნები.

2.4 განხორციელებულ მომსახურებაში ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, **შემსრულებელი** ვალდებულია აღმოფხვრას ნაკლი **დამკვეთის** მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში. თუ აღნიშნული ვადა უშედეგოდ გავიდა, ან ნაკლის გამოსწორება ობიექტურად შეუძლებელია, **დამკვეთი** უფლებამოსილია მოშალოს ხელშეკრულება, უარი თქვას მიუღებელი/არაჯეროვნად შესრულებული მომსახურების ფასის გადახდაზე (ან მოითხოვოს მიუღებელი/არაჯეროვნად შესრულებული მომსახურების წინასწარ გადახდილი ანაზღაურების დაბრუნება) ხოლო **შემსრულებელი** ვალდებულია **დამკვეთს** დამატებით აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2.5 მომსახურების გაწევისა და მართვის პროცესში დაგეგმილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება, წინასწარ უნდა შეთანხმდეს **დამკვეთსა** და **შემსრულებელს** შორის. მხარეები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ერთმანეთს შორის უწყვეტი, თანმიმდევრული და ოპერატიული კომუნიკაცია.

2.6 მომსახურების გაწევის პერიოდი გრძელდება 31/12/2027-ის ჩათვლით. ხოლო მომსახურების გაწევისთვის **შემსრულებლის** მიერ გათვალისწინებული სამუშაო დღეების ოდენობა განისაზღვრება 48 (ორმოცდარვა) სამუშაო დღით, მათ შორის სამუშაო დღეების ოდენობა 05.03.2024წ-31.12.2024წ პერიოდში და 2025,2026,2027 წლებში ყოველწლიურად უნდა შეადგენდეს 12 სამუშაო დღეს.

2.7 **დამკვეთის** მოთხოვნის შემთხვევაში **შემსრულებელი** ვალდებულია **დამკვეთს** მიაწოდოს ანგარიში მომსახურების მიმდინარეობის პროცესისა და გაწეული მომსახურების შესახებ, ასევე

დამკვეთი: _____ **შემსრულებელი:** _____

წარუდგინოს დამკვეთს მომსახურებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ტიპის მოთხოვნილი ინფორმაცია, ანგარიში, სტატისტიკა, მონაცემი და ა.შ.

2.8 მომსახურების სრულად და ჯეროვნად გაწევის შემდგომ, მხარეთა შორის ფორმდება მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი.

2.9 შემსრულებელი ვალდებულია მომსახურების დასრულებამდე ყოველი წლის ბოლოს (2024, 2025,2026,2027) დამკვეთს წარუდგინოს შესაბამისი წესით შევსებული სამუშაო დროის აღმრიცხველი ფორმულარი (Time Sheet).

3 შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება

3.1 დამკვეთის მიერ შემსრულებლისთვის გადასახდელი მთლიანი ანაზღაურება შეადგენს 6720-00 (ექვსი ათას შვიდას ოცი ევრო და 00 ევრო-ცენტი) ევროს ექვივალენტს ლარში, გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

3.2 თანხის გადახდა ხდება შემდეგი პირობების გათვალისწინებით: თანხის პირველი ნაწილი, რომელიც შეადგენს 1680-00 ევროს გადახდა მოხდება შემდეგნაირად: 840-00 ევრო გადაიხდება წინასწარ, ავანსის სახით, 2024 წლის 30 აპრილის ჩათვლით პერიოდში, ხოლო თანხის პირველი ნაწილის დარჩენილი 840-00 ევრო გადაიხდება პროექტის მიმდინარეობის პირველ წელს, 31/12/2024-ის ჩათვლით, მხარეთა შორის სამუშაო დროის აღმრიცხველი ფორმულარის (Time Sheet) შესაბამისად გაფორმებული შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10(ათი) სამუშაო დღის ვადაში.

3.3 თანხის მეორე ნაწილი, რომელიც შეადგენს 1680-00 ევროს, გადაიხდება პროექტის მიმდინარეობის მეორე წელს, 31/12/2025-ის ჩათვლით, მხარეთა შორის შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

3.4 მომსახურების მესამე ნაწილი რომელიც შეადგენს 1680-00 ევროს გადაიხდება პროექტის მიმდინარეობის მესამე წელს, 31/12/2026-ის ჩათვლით, მხარეთა შორის შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

3.5 მომსახურების მეოთხე ნაწილი რომელიც შეადგენს 1680-00 ევროს გადაიხდება პროექტის მიმდინარეობის მეოთხე წელს, 31/12/2027-ის ჩათვლით, მხარეთა შორის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

3.6 მომსახურება ხორციელდება ევროკავშირის საგრანტო პროექტის ფარგლებში და დამკვეთი ჩართულია RS.GE-ს საიტზე „საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირთა ერთიანი ელექტრონული რეესტრში", შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულებით მიწოდებული მომსახურების თანხა არ მოიცავს დღგ-ს.

4 მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1 მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.2 თითოეული მხარე იღებს პასუხისმგებლობას დაკისრებული ვალდებულებები შეასრულოს დადგენილი წესით, შეთანხმების ფარგლებში, ამასთან თითოეულმა მხარემ ხელი უნდა შეუწყოს მეორე მხარეს ვალდებულების შესრულებაში. დამრღვევი მხარე ვალდებულია დაუყონებლივ უზრუნველყოს დარღვევის გამომწვევი ფაქტორების აღმოფხვრა.

4.3 შემსრულებლის მიერ არაჯეროვნად მომსახურების გაწევის ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების (ვალდებულებების) დარღვევის შემთხვევაში დამკვეთს აქვს უფლება ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება და ოფიციალური წერილით აცნობოს ამის შესახებ შემსრულებელს, რის შემდეგაც დამკვეთს არავითარი ვალდებულება შემსრულებლის მიმართ არ წარმოეშობა.

დამკვეთი: _____ შემსრულებელი: _____

4.4 დამკვეთს აქვს უფლება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული, მიღებული მომსახურების ხარისხის შესახებ შემსრულებელს წერილობით აცნობოს თავისი შენიშვნები, ხოლო შემსრულებელი ვალდებულია გაითვალისწინოს ისინი ან წარადგინოს ობიექტური შედავება.

4.5 დამკვეთის მიერ ანგარიშსწორების პირობების დარღვევის შემთხვევაში, შემსრულებლის მოთხოვნის შესაბამისად, დამკვეთს დაეკისრება პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. აღნიშნული არ აძავისუფლებს მას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულებისგან.

4.6 შემსრულებლის მიერ მომსახურების განხორციელების დროს მისთვის განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად, შემსრულებელს დაეკისრება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერთო ღირებულების თანხის 0.5%- ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. აღნიშნული არ ათავისუფლებას მას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისგან.

5 დავის გადაწყვეტა

მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წესრიგდება მხარეთა შორის მოლაპარაკების წარმართვის გზით. ამგვარი მოლაპარაკების არარსებობის ან მოლაპარაკების შედეგად შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებს შორის დავა წყდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისი ინსტანციის სასამართლოსთვის მიმართვის გზით.

6 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებათა სრულად შესრულებამდე.

6.2 ხელშეკრულებიდან გასვლა და მისი ვადამდე მოშლა (შეწყვეტა) ხდება წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7 ცვლილებები და დამატებები

წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

8 გარდამავალი დებულებები

8.1 ფორს-მაჟორული გარემოების არსებობის შემთხვევაში, რაშიც იგულისხმება ყველა წინასწარ განუსაზღვრელი და თავიდან აურიდებელი შემთხვევა, რომელიც ქმნის მხარის/მხარეების მიერ ვალდებულებათა შესრულების ობიექტურ შეუძლებლობას, მხარეები თავისუფლდებიან ამ ვალდებულებათა შესრულებისგან ფორს-მაჟორული გარემოების არსებობის პერიოდის ჩათვლით. ფორს-მაჟორული გარემოების წარმოქმნის, ასევე მისი დასრულების შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს.

8.2 საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით წესრიგდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3 ხელშეკრულება შედგენილია ორ იდენტურ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან. ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

8.4 წინამდებარე ხელშეკრულების ელექტრონული ფორმით შესრულებულ ასლს აქვს დედნის ძალა, ვიდრე არ მოხდება მხარეთა შორის ორიგინალი დოკუმენტების გაცვლა.

დამკვეთი: _____ შემსრულებელი: _____

9 მხარეთა რეკვიზიტები

დამკვეთი ა(ა)იპ „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი" ს/კ: 211361694 მის.: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, 26 მაისის მოედანი, სართული V ბანკი: სს „თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE22TB0652636080170009 დირექტორი: ვაჟა სალამაძე	შემსრულებელი ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" ს/კ: 204569617 მის.: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ნიაღვრის ქუჩა, N 4, ბინა 18 ბანკი: სს „საქართველოს ბანკი" საბანკო კოდი: BAGAGE22 ა/ა: GE89BG0000000138095004 აღმასრულებელი დირექტორი: გიორგი კლდიაშვილი

დამკვეთი: _____ შემსრულებელი: _____